დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 29 08
16/07/2018

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შპს ,,მაგთიკომისათვის'' ქონების (გარე განათების ბოძის ნაწილი) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, მე-2-ე პუნქტის, 26-ე მუხლის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 29 ივნისის №07/2788 წერილისა და შპს ,,აუდიტორული ფირმა საპიენტი სატი -777'' 2018 წლის 11 ივნისის №1-11.06/18-ის აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს შპს ,,მაგთიკომს'', მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. დმანისში მდებარე გარე განათების 126 ცალ რკინისა და ბეტონის ბოძზე, მიწის ზედაპირიდან 4 მეტრის სიმაღლეზე ბოძის ნაწილი (წერტილი), სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით 10 (ათი) წლის ვადით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტისა და IP ტელევიზიის მიწოდება-მომსახურებისათვის კაბელის გაყვანის მიზნით და საიჯარო ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვროს წლიური 249 (ორას ორმოცდაცხრა) ლარი და 48 თეთრი.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე